ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3842590

ნომერი: AR1574268

თარიღი : 31.01.2018

გაცემის თარიღი : 06.03.2018

გაცნობის თარიღი : 07.03.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

სამგორის ქ. #2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა ქართველიშვილი პ/ნ 01009008535
- თბილისი ვაჟა-ფშაველას I შეს. N 3 ბ. 167

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : არასაცხოვრებელი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს ელექტრონულად წარმოდგენილი #AR1574268 განცხადებით მომართა მოქალაქე მანანა ქართველიშვილმა და მოითხოვა, ქ. თბილისში, სამგორის ქუჩა N2, (ნაკვეთი N8/78)-ში განთავსებული შენობა N1/2-ის ლეგალიზება. „პროექტისშემთანხმებელი და მშენებლობისნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდან/და პროექტისდარღვევით აშენებული ობიექტების ან მათინაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ებრძანებულებით დამტკიცებული წესის თანახმად. ვინაიდან ზემოხსენებულ #AR1574268 განცხადებაზე

თანდართულ დოკუმენტებს აღენიშნებოდათ გარკვეული ხარვეზები, სამსახურის 2018 წლის 08.02.2018 #3814211 ბრძანებით განმცხადებელს დაევალა დამატებითი და შესწორებული დოკუმენტების 10 (ათი) დღის ვადაში წარმოდგენა, კერძოდ:
15 დღის ვადაში ფართობის ველებში დააფიქსიროს ობიექტის ზუსტი ფართობი, აირჩიოს ზუსტი ნომეკლატურა და დამატებით წარმოადგინოს:
ა) შესწორებული და არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანილი არქიტექტურული პროექტი.
ბ) გეგმები საჯარო რეესტრის ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან სრულყოფილი დოკუმენტაცია ფერადი სახით.
გ) მშენებლობის 2007 წლის I იანვრამდე დასრულების დამდგენი დოკუმენტი
დ) არსებული მდგომარეობის ყველა ფასადის ნათლად და სრულყოფილად ამსახველი ფოტოსურათები, საჭიროების შემთხვევაში მოინიშნოს სალეგალიზაციო ობიექტები.
ე) შესწორებული საკადასტრო გეგმა
ვ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კადასტრის სამსახურის წერილობითი პოზიცია და სათანადო შესწორებული მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტები საკადასტრო საზღვრების გადაფარვების ან შენობის საკადასტრო საზღვრებიდან გადასვლის გამოსწორების დამადასტურებლად.
ზ)ყველა თანამესაკუთრის თანხმობა სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ობიექტის ლეგალიზებაზე.
თ)ამონაწერში დაფიქსირებული იჯარის ხელშეკრულების ასლები.
ი)შესწორებული და დაზუსტებული მოთხოვნის ტექსტი.
კ)შესწორებული განმარტებითი ბარათი.

რაც არ გამოსწორდა, მთლიანი შენობის ლეგალიზებაა კვლავ მოთხოვნილი, არ მოხდა სალეგალიზაციო შენობის ნაწილების ლეგალიზების მოთხოვნის დაყენება და ნომეკლატურის ცვლილება. არც განმარტებითი ბარათი შეიცვალა და საკუთრებაში არსებული მთლიანი შენობის ლეგალიზებაა მოთხონილი კვლავ. წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად ახალი ფოტოები. არ იქნა წარმოდგენილი ყველა მესაკუთრის თანხმობა.

წარნიდგენილია აეროგადაღება, რომლითაც ფასადზე განხორციელებული რეკონსტრუქციები არ ჩანს და ორთოფოტო არ არის დათარიღებული. ტექბიუროს უკეთესი გეგმები და სრულყოფილი დოკუმენტაცია ფერადი სახით არ იქნა წარმოდგენილი.
საკადასტრო საზღვრები არ იქნა გასწორებული და არ იქნა წარმოდგენილი განახლებული საკადასტრო გეგმა.
საჯარო რეესტრის წერილობითი პოზიცია არ იქნა წარმოდგენილი საკადასტროების გადაფარვასთან დაკავშირებით ან მათი გამოსწორების შესახებ რაიმე დოკუმენტი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად, „თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.“
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, როგორც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელმა ორგანომ, მიიღო გადაწყვეტილება, #AR1574268 განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

განუხილველად იქნეს დატოვებული მოქალაქე მანანა ქართველიშვილის განცხადება;

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.